აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №11

01/10/2020 წელი **ქ. ბათუმი**
11[20]საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: ნოდარ მელაძე, სოფიო კახაძე, ტარიელ გოგიტიძე, ირაკლი გვარჯალაძე, მარიამ გუგუნავა, კახაბერ ჯაიანი, ირაკლი გვარამია, კობა გაბაიძე, რამაზ ფირცხალაიშვილი და დავით ჯინჯოლავა.

არ ესწრებოდა: დავით ქარცივაძე.

აგრეთვე ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის შესახებ;

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა.(ა).ი.პ. „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“;

3. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: დავით ჯინჯოლავამ და პარმენ ჯალაღონიამ.

დავით ჯინჯოლავამ კომისიას შესთავაზა უსკოს წარმომადგენლების კანდიდატურების უსკოს სხდომაზე დაბარება და მათთან გასაუბრება.

პარმენ ჯალაღონიამ განმარტა, რომ საარჩევნო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კანდიდატთა არჩევისას მათ უსკოს სხდომაზე დაბარებას, რის შემდეგაც კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 9;
წინააღმდეგი 2;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის შესახებ;

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა.(ა).ი.პ. „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“.

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს წარუდგინა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ თითოეულ კანდიდატს განცხადების რეგისტრაციის რიგითობის მიხედვით სახელობითი კენჭისყრით კენჭი ეყრება ცალ-ცალკე, უსკოს წარმომადგენლების არჩევა მოხდება სხდომაზე დამსწრეთა ურავლესობით მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

აზრი გამოთქვეს: დავით ჯინჯოლავამ, ნოდარ მელაძემ, ირაკლი გვრჯალაძემ და პარმენ ჯალაღონიამ.

დავით ჯინჯოლავა დაინტერესდა №79 საარჩევნო ოლქში უსკოს წარმომადგენლობის კანდიდატის პაატა კეშელავას საქმიანობა (საუბნო საარჩევნო კომისიის მოქმედი ტრენერი) ხომ არ შეუშლიდა ხელს უსკოს წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელებაში, ან ხელშეკრულებით ხომ არ ეკრძალება სხვა რაიმე სახის საქმიანობა.

ნოდარ მელაძემ აღნიშნა, რომ თვითონ და უსკოს წევრი ირაკლი გვარჯალაძე არიან მოქმედი ტრენერები და ამავდროულად უსკოს წევრები, შესაბამისად, კანონი როგორც ტრენერის საქმიანობას (პედაგოგიურ) საქმიანობას არ კრძალავს.

ირაკლი გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგები სრულდება მ/წ 25 ოქტომბერს და მიაჩნია, რომ ამ მიმართულებით უსკოს წარმომადგენელს მისი უფლებამოსილების განხორციელებაში ხელი არ შეეშლება.

დავით ჯინჯოლავამ აღნიშნა, რომ თუ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგები სრულდება 25 ოქტომბერს ამ დროის განმავლობაში ვინ განახორციელებს უსკოს წარმომადგენლის უფლებამოსილებას საარჩევნო ოლქში.

პარმენ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ დავით ჯინჯოლავას კითხვა, უშლის თუ არა ხელს ტრენერის მოვალეობის შესრულება წარმომადგენლის საქმიანობას ლეგიტიმურია, თუმცა №79 საარჩევნო ოლქში უსკოს წარმომადგენლობის კანდიდატის, პაატა კეშელავას კვალიფიკაციასა და გამოცდილებას კომისიის წევრთა უმრავლესობა იცნობს და მისი აზრით ტრენერობა არ იქნება ხელშემშლელი ფაქტორი, პირიქით მისი ტრენერობა ერთერთი უპირატესობაა, რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ შემოსული განცხადებები რიგის მიხედვით სახელობით კენჭისყრაზე დააყენა უსკოს წარმომადგენლების არჩევის საკითხი.

კომისიის წევრებმა №79 ბათუმის და N84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო *კომისიის წარმომადგენლების*

კანდიდატურებს საკონკურსო დოკუმენტაციის საფუძველზე, სახელობითი კენჭისყრით, ცალ-ცალკე უყარეს კენჭი.

სახელობითი კენჭისყრის შედეგად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებად არჩეულ იქნენ:

№79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიაში - პაატა კეშელავა;
№84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიაში - მალხაზ ჯორბენაძე.

№80 ქედის საარჩევნო ოლქში უსკოს წარმომადგენლობის კანდიდატის - ხათუნა აბულაძის, №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიაში უსკოს წარმომადგენლობის კანდიდატის - თამაზ დავითაძის და №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში უსკოს წარმომადგენლობის კანდიდატის - შოთა ბერიძის კანდიდატურები კომისიამ კენჭისყრაზე არ დააყენა საკონკურსო დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის გამო.

სახელობითი კენჭისყრის შედეგები თან ერთვის (იხ. დანართი).

მიღებულია განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „შ²“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. არჩეული იქნან უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებსა და მათ შემადგენლობაში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიებში:

ა) პაატა კეშელავა №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისია;

ბ) მალხაზ ჯორბენაძე №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისია.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით არჩეული უსკოს წარმომადგენლების დაფინანსების ოდენობა, უფლებამოსილებები და ვალდებულებები განისაზღვრება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების

არჩევის წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 25 სექტემბრის №27 განკარგულების შესაბამისად.

3. დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას (ნესტან ნაკაშიძე), უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებზე სათანადო მოწმობების გაცემა.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ ვინაიდან ვერ მოხერხდა №81 ქობულეთის, №80 ქედის, №82 შუახევის და №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქებში უსკოს წარმომადგენლების კანდიდატურების არჩევა საკონკურსო დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის გამო, კომისიას შესთავაზა უსკოს წარმომადგენლობის მსურველთა დოკუმენტაციის მიღების ვადის გაგრძელება დამატებით 3 (სამი) დღით. ასევე აღნიშნა, რომ თუ კომისია გადაწყვეტს ვადის გაგრძელებას შეტანილი იქნეს ცვლილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომიიის 25/09/2020 წლის №27 განკარგულებაში.

დავით ჯინჯოლავამ აღნიშნა, რომ ვინაიდან №79 ბათუმის და №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიებში 2 (ორი) წარმომადგენელი არჩეულია და ვერ მოხერხდა №81 ქობულეთის, №80 ქედის, №82 შუახევის და №83 ხელვაჩაურის 4 (ოთხი) საარჩევნო ოლქში წარმომადგენლების არჩევა, კომისიამ აირჩიოს დამატებით 1 (ერთი) წარმომადგენელი ძირითად მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში.

კომისიის უმრავლესობა რჩება იმ აზრზე, რომ დარჩენილ ოთხ საოლქო საარჩევნო კომისიაში სავალდებულოა უსკოს ჰყავდეს არჩეული თავისი წარმომადგენელი და დაეთანხმნენ სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 25/09/2020 წლის №27 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ვადის გაგრძელების ნაწილში.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი იქნა განკარგულების პროექტი.

2. განკარგულება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 25 სექტემბრის №27 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 25 სექტემბრის №27 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 9;
წინააღმდეგი 2;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

მიღებულია განკარგულება

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 25 სექტემბრის №27 განკარგულების 1.3 და 1.10 ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.3. №81 ქობულეთის, №80 ქედის, №82 შუახევის და №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლობის მსურველებმა უმაღლეს საარჩევნო კომისიას (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება) განცხადებით უნდა მიმართონ 2020 წლის 2 ოქტომბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00 საათამდე. (მის: ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ №2, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია (განცხადების წარდგენა ასევე შესაძლებელია ელექტრონული წესით, უსკოს ოფიციალური ელ-ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: (info@sec.ge).

1.10. №81 ქობულეთის №80 ქედის, №82 შუახევის და №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში, უმაღლესი საარჩევნო კომისია ირჩევს თითო წარმომადგენელს.“

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებმა - კახაბერ ჯაიანმა და დავით ჯინჯოლავამ კომისიის სხდომა დატოვეს (11:50 სთ).

3. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა.(ა).ი.პ. „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა.(ა).ი.პ. „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა.(ა).ი.პ. „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 9;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი:)

მიღებულია განკარგულება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 74-ე მუხლის მე-12 პუნქტის და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა.(ა).ი.პ. „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“ მიერ 2020 წლის 28 სექტემბერს წარმოდგენილი განცხადების (უსკოში რეგისტრაციის №01-26/100) საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს და მიენიჭოს დამკვირვებლის სტატუსი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებულ ყველა დონის საარჩევნო

კომისიაში, ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას **ა.(ა).ი.პ. „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“.**

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **სოფიო კახაძე**